წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა 7 თებერვალი 1916 წ. № 29

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანცორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

3 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, თბილისში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა **ნაფიცი ვექილი**

## გიორგი ივანესძე გძელიშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის დედა ნატალია გრიგოლის ასული, და ეკატერინე ივანეს ასული, ძმა სვიმონ ივანეს ძე. რძლები: ოლღა გიორგის ასული და ბარბარე იოსების ასული **გძელიშვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე (ელისაბედის ქუჩა № 65). გამოსვენება კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 9 ნახევარ საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—2)

კვირას, 7 თებერვალს, საბურთალოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

## გიორგი გრიგოლის ძე ჯანაშიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **და აგრაფინა ანდრიას ასული ჯანაშია, ბიძაშვილი თამარ პარმენის ასული ჯანაშია და სიძე ისაკი გიორგის ძე ალხანიშვილი.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (1—1)

**ელისაბედ ზაალის ასული, ლევან იოსების ძე, ივანე და მიხეილ ლევანის ძენი ნაცვლიშვილები, და ნინო ლევანის ასული და რევაზ დავითის ძე სვიმონიშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს 7 თებერვალს იქნება გადახდილი ორმოცის წირვა

## იოსებ (სოსო) ლევანის ძე ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად, წმინდა ნინოს ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი საფლავზედ 11 საათზე. (1—105—1)

## კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-ს

გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ 1916 წ. 19 თებერვალს **ქ. თელავში,** დილის ათ საათზე დანიშნულია

## ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება

**განსახილველია საგნები:**

1) 1914—15 საანგ. წლ. ანგარიში და მის შესახებ მოხსენება.
2) მიწის შეძენა ქ. თელავში და ს. გურჯაანში.
3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
4) 1915—16 საანგ. წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
5) მიმდინარე საკითხები.
6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარის, რომელსაც ვადა შეუსრულდა, გამგეობის ერთი წევრისა და ერთი კანდიდატისა, და სარევიზიო კომისიის 4 წევრისა.

**ეს საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს,** რადგან ინიშნება ნაცვლად ამა წლის 30 იანვრის არ შემდგარ კრებისა. (3—2)

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს 8 თებერვალს 1916 წ.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**სოფოკლეს ცნობილი ტრაღედია**

## ოიდიპოს მეფე

თარგმანი კ. ანდრონისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ. თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ. გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ.,

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

მორიგე წევრი გამგეობისა: **ი. გედევანიშვილი**

**ადგილების ფასი 25 კ.-დან 1 „მან.50 კ.-დე“.**

შემდეგი წარმოდგენა **მადამ სან-ჟენ** (4—48—3)

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## კვირას, 14 თებერვალს

**სახაზინო თეატრში**

— იმართება —

## შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა

(—უ.—)

## საუკეთესო კახური ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

პირველი წელი — პირველი წელი

**„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა**

## პაზმული და სამხატვრო კრებული
## „მერანი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

## სასტუმრო „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.**

**უაღრესი სიფაქიზე.** ელექტრონის განათება

**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**

## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი 12—85.**

(წ.—14—13)

**მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა**

## კიკნა-ფშაველის

**პოემათა და ლექსთა კრებული**—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.

**ეღირება ათ შაურად.**

**ხელის მოწერა შეიძლება**—თბილისში: „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში; **ალ. შარიკაძესთან**—ტრამვაის მოსამსახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ქუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში—ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიონეთში—ი. ბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. **ცინცაძესთან; პეტროგრადში—სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

## „ახალი კლუბი“

**ერთი კვირის პროგრამა 8—14 თებრვლამდე 1916 წ.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი—სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**სამშაბათი**—დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სპექტაკლის შემდეგ დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. სპექტ. შესვლა უფასოა.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი, სეანსის შემდეგ დაუკრავს სიმებ. ორკესტრი.
**შაბათი**— ოპერეტკა—ქართულ ენაზე, ოპერეტკაზე შესვლა უფასოა.
**კვირა**—კონცერტი მომღერალთა გუნდის მიერ, მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, დაწვრილებით პროგრამაში.
**დასაწყისი:** კონცერტებისა საღ. 9 საათ., სპექტაკლისა, ოპერეტკების და სინემატოგრაფისა საღ. 8 საათზე.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, საოჯახო საღამოს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 55 კ. (6—51—1)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.)

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**—პროვიზორის ახვლედიანისა—**

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან **№ 67** ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ე ქ ი მ ი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ მ ა**

## მამულაიშვილმა

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

6 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის და დვინის მიდამოებში ცეპელინებისა და ჰაეროპლანების იერიშები გაახშირეს და ბევრგან ყუმბარებს უშენდნენ. ბალდონის გზატკეცილის მიდამოებში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. რუსმა მფრინავებმა კუნძულ დალენის სამხრეთით გერმანელების ბანაკს ყუმბარები დაუშინეს. იაკობშტადტის მიდამოებში გერმანელები რუსის სანგრებს მახრჩობელა გაზით გაუმასპინძლდნენ.

გალიციაში, 3 თებერვალს, რუსების მფრინავებმა ბუჩაჩს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. დნესტრზე, ხანგრძლივ ზარბაზნების სროლის შემდეგ, მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა უსეჩკოს მიდამოებში, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსებმა მძიმე ზარბაზნებით მტრის ზარბაზნები გაანადგურეს.

**შავ ზღვაზე.** ზღვის სანაპიროებში, ტრაპიზონის დასავლეთით რუსების გემებმა ზარბაზნებით დაანგრიეს, მუდმივი ხიდები ააფეთქეს და 15 იალქნიანი გემი დაღუპეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის სანაპიროებში რუსის ჯარმა მოპირდაპირე რამდენიმე ადგილიდან განდევნა. ხელთ იგდეს ტყვეები, ზარბაზნები, საომარი მასალა, სურსათი და საინჟენერო ნივთეულობა.

---

**თბილისი.** 5 თებერვალი. კავკასიის მეფის ნაცვალმა ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ულრმესად მასიამოვნა კავკასიის მკვიდრთა მიერ აზრუმის აღების გამო უქვეშევრდომილეს სიყვარულისა და ერთგულების გამოცხადებამ. ვთხოვ თქვენ იმპერატორებით უმაღლესობას, გადასცეთ კავკასიის მკვიდრთ ჩემი უგულითადესი მადლობა.

**ნიკოლოზი.**

ეს დეპეშა პასუხია მეფის ნაცვლის მიერ გაგზავნილ შემდეგი დეპეშისა:
„დღეს საზეიმო პარაკლისის შემდეგ, რომელიც საქართველოს ექსარხოსმა ერევნის მოედანზე გადაიხადა აუარებელ ხალხის თანადასწრებით, თბილისის ქალაქის მოურავმა მომმართა სიტყვით და მთხოვა, მთელი ქალაქის სახელით, თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის ფერხთა ქვეშ განვართხო უსაზღვრო სიყვარული. იგინი მზად არიან ყოველი მსხვერპლი გასწირონ და მთელი ძალ-ღონე შეალიონ, რომ რუსეთის იარაღმა საბოლოვოდ გაიმარჯვოს ჩვენი სამშობლოს მტრებზე. გუშინ და დღეს სხვა და სხვა დაწესებულებათაგან და მკვიდრთა სხვა და სხვა ჯგუფისაგან ვღებულობ აღფრთოვანებულს სიხარულის განცხადებას კავკასიის ჯარზე უფლისაგან მოვლე-

ნილ სახელოვან გამარჯვების გამო და თხოვნას, რათა გადმოგცეთ მათი განუსაზღვრელი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობანი. ბედნიერი ვარ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას ყოველივე ეს მოვახსენო.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი**".

---

**რომი.** გაზეთები სიხარულით ეგებებიან აზრუმის აღებას. იგი მცირე აზიაში მოკავშირეებს საქმეს გაუადვილებსო.

**ლონდონი.** გაზეთები ღირსეულად აფასებენ რუსია ჯარის გმირობას. აზრუმი, მათის აზრით, შესაძლოა ოსმალეთისათვის აქილესის ქუსლად გადიქცეს. ალბად ეს გამარჯვება სასიკვდილო მარცხია გერმანელ-ოსმალთა განზრახვისა კავკასიაზე გალაშქრების.

**ათინა.** გაზეთების სიტყვით, მოკავშირეებმა დაიპყრეს ვარდარის ფონები და ხიდები. დასავლეთ მაკედონიისა და სოლუნს შორის მიმოსვლა შეჩერდა.

გერმანელებმა მონასტირისაკენ მიმავალი ყველა გზები სანგრებით შეჰკრეს, ეფიქრებათ ჯავშნიან ავტომობილების თავდასხმისა.

**სტოკჰოლმი.** რეიჰსტაგმა ნეიტრალობის დასაცავად 25 მილიონის სესხი მოითხოვა.

**პარიზი.** ოფიც. ღამე აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

**სოლუნი.** გუშინ ცამეტმა ფრანგმა მფრინავმა ქ. სტრუმიცას 150 ყუმბარა ესროლა, ცეცხლი გააჩინა და დაიზიანა მტრის ბანაკი. მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

**პარიზი.** ბრიუსელის ქალაქის თავი, რომელიც ტყვედ იყო, გერმანელებმა გაანთავისუფლეს და შვეიცარიაში გაისტუმრეს.

**თავრიზი.** აზრუმის აღების გამო რუსების ახალშენში მოკავშირე სახელმწიფოთა კონსულების თანადასწრებით სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. რუსეთის ქვეშევრდომთა სახლები ბაირაღებით იყო მორთული.

**სოლუნი.** ფრანგების მაშველი ჯარი მოვიდა. გერმანელების მფრინავმა სცადა ინგლისელების ბანაკზე გადევლო, მაგრამ ზარბაზნის სროლით გააძევეს.

დღეს ფრანგმა მფრინავმა კარასულში, გერმანელების საფრენი ძირს დასცა. დაჭრილი მფრინავი აფიცერი ტყვედ ჩაუვარდათ, მეორემ-კი თავს უშველა.

**ბუქარესტი.** რუმინეთი მტკიცედ იცავს ნეიტრალობას.

**ლონდონი,** 4 თებერვალი. სამხედრო სამინისტრომ შემდეგი ტელეგრამა მიიღო აღმოსავლეთ აფრიკიდან: ვლაიტის მთის დასაზვერავად გაგზავნილმა რაზმმა გამოიკვლია, რომ მთა მტერს ფრიად გაუმაგრებია. მიდამოებში გერმანელთა რეზერვები სდგანან. შეტაკების დროს ინგლისელებს დაუხოცეს 172 კაცი. სამაგიეროდ ამათ რკინის გზა გადაუჭრეს ვლაიტიდან 2 მილზე.

**პარიზი,** 4 თებერვალი. ბელგეთში ჩვენი არტილერია ესროდა გერმანელთა საველე სიმაგრეებს სტეენსტრეტისა და ბეზენის მიმართულებით. არტუაში გერმანელებმა ააფეთქეს ნაღმი ლილის გზის მახლობლად, მაგრამ აფეთქებული ადგილი ისევ ჩვენ დავიჭირეთ. საარტილერიო სროლაა სუასონისა და შამპანის შუა. დანარჩენს ფრონტზე საყურადღებო არა მომხდარა-რა.

**ლონდონი,** 4 თებერვალი. საფრანგეთში მოქმედი ჯარების შესახებ მოვიდა ცნობა, მთელს ფრონტზე სასტიკი საარტილერიო სროლაა. უკანასკნელ ხანებში ყველაზე მძაფრი ბრძოლა მოხდა იმ არხთან, რომელიც აერთებს იპრსა და კომინზსა და რკინის გზის შუა. ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა. გერმანელებმა ხელთ რომ ჩაიგდეს 600 იარდის მანძილი (375 საჟ.), რის შესახებაც გუშინდელ დეპეშითაც ვატყობინებდით, ჯერ სასტიკი სროლა ასტეხეს, 5 ნაღმი ააფეთქეს, რის შემდეგაც თხრილებში დარჩენა ყოვლად შეუძლებელი გახდა. იერიში ფართოდ დაიწყეს გერმანელებმა, 4000 იარდზე, მათ ხელში მხოლოდ 600 დარჩათ, დანარჩენზე მოვიგერეთ და საგრძნობი ზარალიც მივაყენეთ. ჩვენ მიერ დაკარგული თხრილები გასულ წელს ხელიდან ხელში გადადიოდა, ეხლა მას უწოდებენ „საერთაშორისო თხრილებს".

**პეტროგრადი.** 4 თებერვალი. პეტროგრადის სააგენტო აუარებელ ტელეგრამებს იღებს აზრუმის აღების გამო. ყველა ქალაქები დღესასწაულობენ ამ ამბავს და მანიფესტაციებს მართავენ.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელ მფრინავთა თარეშობა.**

„Vossiche Zeitung"-ი განიხილავს „ცეპელინების" თარეშის მნიშვნელობას, თუ რა ზარალს აყენებს იგი მტოქე სახელმწიფოებსა. ლონდონის უზარმაზარი შენობანი თვით ყუმბარით რომ მიწასთან სწორდებიან, მცხოვრებთა გაოგნებული წივილ-კივილი და შემაძრწუნებელი ღრიანცელი,—აი ის საუკეთესო საშუალება, რითაც ვაიძულებთ ინგლისის უმაღლეს წრეებს ქედი მოიხარონ. მათ ზვიადობას, რომ ზავის ჩამოგდება არ ჰსურთ, მხოლოდ ამ გზით და საშუალებით მოეღება ბოლოო.

**ვახუდ—ედინი.**

ოსმალეთის ახალი ტახტის მემკვიდრე ვახუდ-ედინი, როგორც რუმინეთის ჟურნალ-გაზეთები აღნიშნავენ, ფრიად ჭკვიანი, ნიჭიერი და დამოუკიდებელი ადამიანი ყოფილა—იგი პირდაპირი მოწინააღმდეგეა ახალგაზრდა ოსმალებისა. ჰფიქრობენ, ენვერფაშისა და მის შუა მალე განხეთქილება მოხდებაო.

**ოსმალეთის ელჩის ბედი.**

სპარსეთში ამას წინად შეიპყრეს ოსმალეთის ელჩი ასიმ-ბეი, ამაზე სპარსეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა, მაგრამ რუსებმა პროტესტს ყურადღება არ მიაქციეს. სპარსეთის მთავრობამ უნდა უწყოდეს, რომ კერეჯი საომარ ასპარეზზე შედის, მაშასადამე, ოსმალეთის ელჩს იქ ადგილი არ უნდა ჰქონოდაო. პეტროგრადიდან განკარგულება მოახდინეს ასიმ-ბეი ენზელში წაიყვანონ და აქედან ბაქოსკენ გამოამგზავრონ.

**დვინსკის რაიონში.**

გერმანელები დვინსკის რაიონში დიდძალ ჯარებს უყრიან თავსა. ამასთანავე რკინის გზებით ჰქსელავენ მთელს რაიონს. ლიბავიდან მიტავამდე გზა დასრულებულია. ასევე მოძრაობაა ვინდავა-კრეიცერბურგის გზაზე. კალკუნის და რაძივილიშკას შუა მალე აღადგენენ მიმოსვლას. ასევე გზა გაჰყავთ დასავლეთ დვინის მიმართულებით, რიგა-ოლაის ხაზზე. ყველაზე მეტად ამ ხაზზს აქცევენ ყურადღებას და დიდათაც ამაგრებენ.

**ბრძოლა დოირანთან.**

„ბ. ვედ."-ს ატყობინებენ, რომ გერმანელებმა საბერძნეთის საზღვარი გადალახეს. გერმანელ-ფრანგების მოწინავე ჯარს ბრძოლა მოუხდათ დოირანის ტბასთან.

**საფრანგეთის პრესა პოლონეთის შესახებ**

„Humanite" განიხილავს პოლონეთის საკითხს, სხვათა შორის იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ პოლონეთი ბოლო დროს მეტს ნდობას უცხადებს ცენტრალ სახელმწიფოებს. ახლანდელი გუბერნატორი ფონ-ჰაფელი მეტად მოხერხებული ადამიანია, მრავალი აღთქმებით აზმავებს პოლონეთს, ვითომც გერმანეთი აღადგენს ძველს დიდს პოლონეთის სახელმწიფოს, რომლის მეფედ დასვამენ ერცჰერცოგს, კარლოს სტეფანეს. გერმანეთს ამით იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში პოლონეთიდან გაიყვანს უკანასკნელი 400 ათას ჯარისკაცს. საბედნიეროდ მთელი პოლონეთი ამ აზრისა არ არის. არიან ისეთნი, რომელთაც საფრანგეთისა და ინგლისის უფრო მეტი იმედი აქვთ, ვიდრე გერმანეთისა. ყოველ შემთხვევაში პოლონეთის საკითხი მთელი ევროპის საკითხია და ერთმა ან ორმა სახელმწიფომ არ უნდა გადასწყვიტოს იგიო.

**მეფე ფერდინანდს ამწყალობებენ**

ბალკანეთში გამარჯვების შემდეგ მეფე ფერდინანდი დიდს პატივშია. ვილჰელმის მრავალწყალობათა გარდა, ახლა საქსონიის მეფის მისსიას გარდაუცია მისთვის წმ. ჰენრიხის ორდენი. დღემდე ამ ორდენით მხოლოდ იმპერატორი ვილჰელმი და ფრანც იოსები იყო დაჯილდოვებულიო.

**რა ელის გერმანეთს?**

გერმანეთმა თუნდაც გაიმარჯვოს, დღევანდელ ხარჯებს ველარ დაჰფარავს. „Berl. Post-ი სწერს: „რაც უნდა დიდი კონტრიბუცია ავიღოთ, მაინც 1917 წლის საიმპერიო ბიუჯეტს ვერა ეშველება რაო. სამხედრო ხარჯების გარდა უნდა ზედმეტი გარდასახადები გავაწეროთ 4 მილიარდამდე. ტეხნიკურის თვალსაზრისით გარდასახადების მომატება შეუძლებელია, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით დიდ ვნებას მოვუტანთ ჩვენს თავს და ხალხის რწმენას დავკარგავთ. ხალხი სინამდვილის საშინელებას მხოლოდ ნელ-ნელ უნდა გაეცნოსო.

**ჯიოლიტი და სალანდრა**

ჯიოლიტი, ყოფილი იტალეთის პრემიერ მინისტრი, დამარცხების შემდეგ თავის მამულში სცხოვრობდა და პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ გარედან ადევნებდა თვალ-ყურს. როგორც ვიცით, იგი უკიდურესი მოწინააღმდეგე იყო გერმანეთთან ომის დაწყებისა. დღეს სალანდრა, მისი დამმარცხებელი, სცდილობს დაუახლოვდეს მას. ჯიოლიტი ტურინში მისულა და ხანგრძლივ უსაუბრნია სტამბოლში ყოფილ იტალეთის ელჩთან მარკიზ გარონისთან. ეს უკანასკნელი შუა კაცად გამოდის, ჯიოლიტისა და სალანდრას შესახვედრად და შესარიგებლადაო.

**გერმანელთა ჰიდროპლანი კოპენჰაგენის თავზე**

გერმანელთა ჰიდროპლანი კოპენჰაგენს სწ[illegible] ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე. იგი გამოჩნდა ათასი მეტრის სიმაღლიდან. მას დაედევნენ, მაგრამ იგი სწრაფად გაჰქრა ზუნდის მხრით. მისი ფართე ფრთები შავი ჯვრით იყო შემკული. ჰფიქრობენ, ეს ერთი უდიდესი ჰიდროპლანთაგანია, „ალბატროსის" ტიპისა, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო ინგლისში ჰაერის ფლოტის ლაშქრობაშიო.

**დაპყრობილ სერბეთში**

სოფიაში გამოცხადდა მეფე ფერდინანდის ბრძანება, რომლის თანახმად დაპყრობილ სერბეთისა და მაკედონიის 16 ქალაქში ბულგართა პრეფექტები ინიშნებიან.

**ფერდინანდი—ფელდმარშალი**

სოფიიდან იტყობინებიან, მეფე ფერდინანდს გერმანელთა მთავარ სადგომიდან გარდაეცა ფელდმარშლობის კვერთხიო. ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ ბულგარეთის ჯართა სარდლები. ბულგართა ჯარების მთავარ ხელმძღვანელათ ამიერიდან ფელდმარშალი ფერდინანდი იქნებაო.

**ენვერფაშას გასაჭირი.**

კავკასიაში ოსმალთა დამარცხებამ ფრიად დააფიქრა დიქტატორი ენვერფაშა. მან წინადადებით მიჰმართა გერმანეთის სამხედრო საბჭოს, ბალკანეთიდან უნდა გაანთავისუფლოთ ჩვენი ჯარები კავკასიაში გასაგზავნად. სალონიკის ოპერაციაში თქვენ და ბულგარელები ეყოფით, ჩვენ ჩვენს ასპარეზს დავიცავთო. მაგრამ გერმანეთის სამხედრო საბჭომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, ფრაკიაში მყოფი ოსმალთა ჯარები ისევ ფრაკიაშივე დარჩებიან.

**სალონიკისკენ.**

ბულგარები ამ უკანასკნელ ხანებში პრესაში ძლიერს აგიტაციას ეწევიან, დროა სალონიკის ოპერაციას მოვკიდოთ ხელიო. საბერძნეთის მთავრობა წინდაწინვე უნდა გავაფრთხილოთ, რადგანაც მალე მათს ტერიტორიაზე მოგვიხდება გადასვლაო. ბულგართა სამხედრო მინისტრმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რაწამს მოვრჩებით სალონიკის ოპერაციას, ომიც დასრულებულად ჩაითვლებაო.

**კიდევ მთაშავეთის შესახებ.**

ვენის „Korr." უარ ჰყოფს მთაშაველთა მინისტრ-პრეზიდენტ მიუშკოვიჩის მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომც მათს მთავრობას არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონია სეპერატიულ ზავის შესახებაო. იგი ირწმუნება, რომ 1 იანვარს მეფე ნიკოლოზმა პირადად და თვით მინისტრ-პრეზიდენტ მიუშკოვიჩმა თავის მთავრობის სახელით ტელეგრამით მიჰმართა იმპერატორ ფრანც-იოსებს და ავსტრო-ჰუნგრელთა მთავრობას და ზავი მოითხოვეს, ხოლო სამ იანვარს მიუშკოვიჩმა ხელი მოაწერა პირობას, ჩვენი ჯარი სრულებით ხელს იღებს იარაღზეო. ცხადია, არავითარი სიყალბე არ ყოფილა, როდესაც ავსტრიის მთავრობამ ოფიციალად განაცხადა, მთაშავეთმა სეპერატიულ ზავზე ხელი მოაწერაო.

---

# უკანასკნელი ფოსტა

**აზრუმის გარშემო.**

„პრავ. ვესტ."-ი სწერს: ოსმალების მაშველი ჯარი, აზრუმის აღების დროს, 150 ვერსის მანძილზე იყო. აზრუმის დასავლეთით არსად არის რაიმე სიმაგრე, სადაც აზრუმიდან წასული ჯარი ხელახლავ დარაზმულიყოს და მოსალოდნელი არ არის, რომ მათ მაშველი ჯარი მიიღონ შავი ზღვის სანაპიროებიდან.

„ბირჟ. ვედ"-ში შუმსკის წერს: რუსის ჯარის სამოქმედო ასპარეზის გზა ხასანკალადან მიდის მუშსა, ბითლისსა და ბაღდადისაკენ, სადაც ინგლისელები მოქმედებენ.

„ვეჩ. ვრ."-ს სიტყვით, აზრუმის დაცემის შემდეგ, გერმანელებმა ხელი უნდა აიღონ მესოპოტამიისა, სუეცის არხისა და სპარსეთის ასპარეზისაგან. ოსმალებმა კი უარი უნდა სთქვან შემოტევაზე.

აზრუმის დაკარგვის გამო, ოსმალეთის მინისტრები გადაჭრით მოითხოვენ ეგვიპტისაკენ გალაშქრებაზე ხელი აიღონ და ბალკანეთიდან ჯარი გადმოიყვანონ. გერმანელები უარზე სდგანან. დარდანელში გერმანელებმა 30 ათასი მეომარი გაჰგზავნეს სრუტეების დასაცველად.

**მაკენზენი რუსეთის ასპარეზზე.**

თუმცა გაზეთებში ცნობა იყო, მაკენზენი ბალკანეთის ასპარეზზე იმყოფებაო, მაგრამ იგი ნამდვილად რუსეთის ასპარეზზეა. მისი მთავარი ბანაკი ქალაქ სტანისლავოვში ყოფილა. მაკენზენი შეუჩერებლად დადის ბრძოლის ასპარეზზე, სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობას უწევს. მისი ხელმძღვანელობით ამაგრებენ კოკონის, სტანისლავოვს, გალიჩსა და ხოდოროვს.

---

# ბრძოლის ველზე

რიგა-დვინსკის რაიონში მოქმედება დღითი დღე უფრო მკაცრი ხდება. ცეპელინებმა და ჰაეროპლანებმა მოუხშირეს ფრენა რიგისა და დვინსკის თავზე და დიდძალ ყუმბარას ანარცხებენ ამ ქალაქს. საარტილერიო ბრძოლა მოქმედების რაიონს თანდათან იფართოვებს, ხოლო საცა სწარმოებდა, იქ უფრო მკაცრსა და მძაფრს ხასიათს იღებს. ზოგან გერმანელები მოზხამულ ბოლსაც მიმართავენ რუსეთის წინააღმდეგ. გალიციაშიც დიდი ბრძოლებია. უსეჩკოს მიდამოებში გერმანელებს თავგანწირული იერიშები მოაქვთ რუსების სანგრებზე. რუსები ამ იერიშებს იგერიებენ.

კავკასიის სამხედრო ოპერაციის ცენტრი აზრუმია. ამან მთელი ევროპის პრესის ყურადღება მიიქცია და არ დარჩენილა ცოტათ თუ ბევრად დიდი ორგანო, რომელსაც თავის მოსაზრება არ გამოეთქვას. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ აზრუმის აღება ყველასათვის მოულოდნელი იყო. აღნიშნულია ის გარემოება, რომ აზრუმის აღებას წინ არ უძღოდა დიდი ბრძოლა, სადაც სერიოზულად დამარცხებულიყოს ოსმალთა ჯარი. ყველა აღნიშნავს, რომ ციხე მაგრად იყო შეიარაღებული და რომ შიგ 80 ათასამდე მეციხოვნე ჯარისკაცი იყო. ყველას ის გარემოება ენიშნება, თუ როგორ არ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა ამდენმა ჯარმა იერიშით მიმავალ რუსებს და ციხის თავდაცვა ვერა ჰყო უფრო ხანგრძლივი. ამდენი კითხვითი ნიშნის შემდეგ ყველა აღნიშნავს თავისთავად აზრუმის აღების ზოგისთვის მორალურს და ზოგისთვის კიდევ პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას. გუშინდელმა რუსულმა ოფიციალმა დეპეშამ გვაცნობა, რომ აზრუმის საშველად სამხრეთიდან და დასავლეთიდან ოსმალთა დიდი ჯარი მოდისო. ცხადია რუსის ჯარს დიდი ბრძოლები დღეიდან მოელის აზრუმის ნამდვილ ასაღებად და შესანარჩუნებლად.

**მეგრი.**

---

# ღია წერილი ქართველ დეპუტატებს

ორი ქართველი ზიხართ სახელმწიფო სათათბიროში, ისეთ დაწესებულებაში, რომელიც მოწოდებულია უფლების გამოსაჭედად და აღსადგენად, საცა იგი უკანონოდ არის გათელილი. ყოველგვარი უფლებრივი ცვლილება, ყოველგვარი რეფორმა პირველად სწორედ იქ უნდა აღიძრას, საცა თქვენ ზიხართ, ხალხის არჩეული წარმომადგენლები. ეს ერთად ერთი გზაა. უფლების საკითხი მას გვერდს ვერ აუვლის. იგი, მოგეხსენებათ, მოპოებულია მრავალის მსხვერპლით, რომელიც მოძრაობის წლებში დიად მიზნებს შეეწირა. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ თქვენმა სამშობლომ, საქართველო რომ ჰქვიან, მრავალის უმრავლესი ზვარაკი გაიღო, სულ რჩეული შვილები, ფხიანები, იდეით გატაცებულები, თავგანწირულები. საქართველოს თუ რუსეთის ციხეებში, ცივსა და ყინვით გათოშილ ციმბირში, თუ ისევ თავის სამშობლოს ცის ქვეშ იხოცებოდა თქვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები; თანაც ნადგურდებოდა დოვლათი და ნაამაგდარი ერისა. დიდია წვლილი, შედარებით და პროპორციით რომ ვიანგარიშოთ, რომელიც საქართველომ, როგორც ერმა, გაიღო ამ უფლების სამჭედლოს ასაგებად. იქნებ თქვენ რომ ზიხართ იმ სავარძლებს ოთხივე ფეხად თქვენივე სოფლელის ძვლები ედგას. აბა ერთი კარგად დააკვირდით! და აი ამ ვაი-უბედურებით აგებულ უფლების ტაძარში, სადაც მთელი ერიდან ორი ქართველი-ღა ობლად ზიხართ, არ გაისმის ხმა თქვენი მშობელი ერის უფლების დასაცავად!

თუ არ უკეთ, ჩვენსავით თქვენც მოგეხსენებათ, რომ არსებობს **საქართველო.** რომ არის **ქართველი ერი.** ისიც უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ყოველი ქართველი, როგორც ცალკეული პიროვნება, მეორისაგან განირჩევა და ორ მილიონ ნახევარ ქართველში ერთი წყვილიც არ მოიძებნება, რომელიც ფიზიკური და სულიერი ცხოვრებით ერთი მეორის განმეორება იყოს, ერთი მეორის **სრული** მსგავსება,—არსებობს საერთოდ **ერთი ქართველობა, ერთი საქართველო.** უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ მას ერთი სახე აქვს, რომ იგი წარმოადგენს ერთ ფიზიკურ და სულიერ ტიპს და რომ ამ ორ მილიონ ნახევარ ქართველს აქვს ერთი ეროვნული ენა, ერთი წარსული თავის ჭირითა და ლხინით, ერთი ეროვნული გრძნობა, ერთი ეროვნული სხეულღებულება, რაიცა ეროვნულად არსებობის უფლებას უაღრესად განსაზღვრავს. რომ ყველაფერი ერთად ვსთქვათ, ამ ორ მილიონ ნახევარ ქართველს აქვს საერთო საფლავი და საერთო აკვანი. ეს ამდენი ნაირ-ნაირი პიროვნება, ეს ამდენი სხვა და სხვა ქართველი ერთი მეორეზეა გადაკავშირებული გაუწყვეტელ კავშირით, რასაც **ეროვნული ზოგადობა** ეწოდება. ამ ზოგადობის დასაბამი ჟამთა სიბნელეში იკარგება და იგი ჟამუსრული თანამგზავრია ყოველი ერთი ქართველისა. იგი გაისკენა თითეული ქართველის ნებისყოფის გარეშე, მაშასადამე მთელი ქართველობის ნებისყოფის გარეშეც, იგი თითეულ ჩვენზედ ძლიერია. **ქართველობის** აღმსახველი თვისება მთელ ქართველობაზე ძლიერია. მასშია დასაბამითვე ჩამარხული ირაციონალი სიმტკიცე. ამიტომაცაა, რომ მღვდელი იტყვის ქართველი ვარო და ერის კაცი. ამიტომაცაა, რომ სურამელი გლეხი თუ თბილელი მუშა იტყვის ქართველი ვარო. სწორედ ისე როგორც გურიის თავადი თუ თბილელი ვაჭარი. არც ტემპერამენტების და სახეების გარჩევა, არც საპროფესიო და საწოდებრივო სხვა და სხვაობა აქრობს და სპობს იმ საერთო ძალა—სინამდვილეს, რასაც **ქართველობა** ჰქვიან. იგი ჩვენგან განუშორებელია, აკვნიდან კუბოს ფიცრამდე მიგვაცილებს. ჩვენთან შობილი, ჩვენთანვე კვდება. ამ ქართველობას აქვს თავისი საერთო ვაება. ქართული ენის დევნა და შევიწროება, დევნა და შევიწროვება, ცალკედ პეტრესი, პავლესი, გიორგისა და სხვათა ენისა, იგი დევნაა მღვდლის, ერისკაცის, თავადის, გლეხის და მუშის ენისა **საქართველო** რომ ჰქვიან იმ ქვეყნის საზღვრებში. ქართული ეკლესიის დევნა თუ შევიწროება—დევნა და შევიწროებაა თითეული ქართველის ეკლესიისა, თითეული ქართველის რელიგიური სიინდისისა. საქართველოს მიწა-წყლის დასახლება უცხო ელემენტებით ზარალი და ვაებაა მთელი ქვეყნისა, მთელი ქართველობისა, სადაც შედის 2 მილიონ ნახევარი მესაკუთრე ქართველი. ასეა დანარჩენ დარგშიც. ყველა ეს საერთო საზიარო საქმეა, ერთი ეროვნული საუნჯე და ჰქმნის ჩვენი ეროვნული უფლების ცოცხალ შინაარსს. ამ უფლებას დაცვა უნდა. მას ჯანგაუტეხელი დარაჯი სჭირდება ყოველგან, ყოველთვის. ეს მოვალეობა უნდა სჭრიდეს ყოველი მოვალეობის უწინარესად. რაცა ვსთქვით, ყველაფერი მარტივია. გვგონია, მას ერთნაირის სისრულით გაიგებს უსწავლელი სოფლელი და წერა-კითხვის მცოდნეც... და აი საკვირველება!.. ეს ვერ შეუსმენია ორს ქართველს, ბ-ნ კ. ჩხეიძესა და აკაკი ჩხენკელს, სათათბიროში დეპუტატებად რომ სხედან! თანაც იციან, მათ გარდა სათათბიროში რომ სხვა არავინაა ადამიანი, რომელიც საქართველოს ხორცი ხორცთაგანი იყოს და სისხლი სისხლთაგანი! ვის უნდა მოვსთხოვოთ ამ ჩვენი ეროვნული სახელის, ნამუსის და უფლების დაცვა იქ, სადაც იკვეხება და იჭედება უფლება მთელი რუსეთის იმპერიისთვის?

ვინმე რუსს, ვინმე პოლონელს, ვინმე ებრაელს, ლიტველს, სომეხს, მაჰმადიანს, თუ ვის?! რა სამსახური მიუძღვის ჩვენს ქვეყანას მათ წინაშე, რომ ასეთი დიდი საქმე მოსთხოვოს?! რა საბუთი და მოსაზრება უნდა მოვიყვანოთ ამის გასამართლებლად?! თქვენი ღვიძლი მოვალეობა იმ სამშობლოს წინაშე, რომელთანაც დაკავშირებული ხართ ფიზიკურის წარმოშობით და სულიერის მემკვიდრეობით და რომლის ყოველ გაკვირვებას თქვენში გრძნობის სიმძაფრე აღუძრავს, თქვენს მაგივრად უცხო ტომისამ უნდა მოიხადოს თქვენივე სამშობლო ქვეყნის წინაშე?! უცხოს ან რა ესმის ამ რაღაც საქართველოსი, ან რად აიტკივოს თავისი თავი?! თქვენთვის რომ მოვალეობა არა სჭრის, იმათზე რამ უნდა მოიღოს ზედგავლენა?!

გასულ წლის ივლისის სათათბიროს საისტორიო სხდომაზედ, რომელზედაც რუსეთის იმპერიაში მოყოლილ ერების შვილებმა ხმა აღიმაღლეს და, რამდენადაც პირობები ამის ნებას იძლეოდა, თავიანთ ერის ჭირვარამზედ და მათი უფლების დაცვაზე ილაპარაკეს, საქართველოს და ქართველი ერის ხსენებაც არ იყო! თქვენ კი, პატივცემულო ქართველებო, მაშინ იქ ისხედით; ხოლო თქვენ კერძოდ ბ-ნო კარლო ჩხეიძე, ჰკვიანსა და მკაცრ სიტყვას წარმოსთქვამდით რუსეთის მუშათა კლასის სახელით!! რა დაგიშავეთ თქვენი სამშობლოს სახელმა?! ეგ ჭკუა და მებრძოლის სიმკაცრე რად არ მიუძღვენით თქვენი ქვეყნის დაცვის საქმეს?! ქართველობას და საქართველოს არ მოდუნებია თავმოყვარეობა და ეროვნული შეგნება; რად არ მიანიჭეთ ეს სიამოვნება და სიამაყე, რად არ შეაძლებინეთ საქართველოსაც ეთქვა: ჩემს სახელს ჩემი შვილი ღირსეულად იცავსო?!—თქვენმა საქციელმა ყველას გული დაგვინაცრა, გაგვანადგურა მორალურ-ეროვნულად. გიძღვენით თქვენა და ნამეტურ თქვენს კოლეგას ცხარე წერილები, გული ავვიტკივეთ და ამიტომ. ამ ტკივილს ბევრი თქვენი პარტიული ამხანაგიც გრძნობდა, ვინაიდგან ყველას შეელახა ის საერთო გრძნობა, რასაც **ქართველობა** ეწოდება. მაგრამ უთუოდ დააკლდათ მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ საქვეყნოდ დაეტუქსეთ. კერძოობაში კი მათგან თქვენი განკიცხვა გვსმენია. თქვენმა გაზეთმა საქვეყნოდ მხარიც კი დაგიჭირათ და ცამდი გაგამართლათ. ჩვენ შავროზმელებიც კი დაგვიძახეს. მაშინაც არ გვესმოდა და არ ეხლა გვესმის, თუ რისთვის!

თქვენ, ბ-ნო კარლო და თქვენი კოლეგაც ივლისის სხდომამდე, თვით ივლისის სხდომაზე და მას აქედაც რუსის მუშათა პარტიის წარმომადგენლად ითვლებით. თავი გავანებოთ იმას, რომ აქამდისინ, 20 წლის განმავლობაში **ქართველ** მუშათა პარტიის სახელწოდების უფლებაც ვერ მოიპოვეთ, რომ თქვენი თავისებურობა საკუთარის სახელით და უფლებით აღნიშნულიყო.

სათათბიროს მომავალ სხდომაზედ ამ ორ დღეში, ეჭვი არაა ისევ რუსეთის მუშათა პარტიის სახელით გამოხვალთ. დავიჯეროთ, წარსულ **დანაშაულს** კვლავ ჩაიდენთ?! ნუ თუ ქართველი ერის სახელი კვლავ მოუხსენებელი დარჩება, ნუ თუ საქართველოს უფლების დაცვის ხმა არ უნდა გაისმას სათათბიროში, მაშინ როდესაც იქ საქართველოს ორი ღვიძლი შვილი იმყოფება?! ბრძოლა ხომ თქვენ იცით. თავის განწირვაც გამიშვენებთ თქვენა და თქვენს პოლიტიკურ მეგობრებს. გვიხარის ეგ თვისება ქართველისა, მაგრამ გულიც გვტკივა. ეს თავგანწირვა, ეს ბრძოლა, ნუ თუ მუდამ რუსეთის მუშათა პარტიისთვის უნდა ხდებოდეს, მის სახელით, მის დროშის ქვეშ?! ქართველი ერისთვის ვიღამ იბრძოლოს?! თქვენი სამშობლო თქვენგან მსხვერპლს მოითხოვს მისი უფლებისა და სახელის დასაცავად, საქართველო მოითხოვს, მისმა დეპუტატებმა საქართველოს დროშა ხელში დაიჭირონ თავრიდის სასახლეში. ვერ შეედავებით, ამის უფლება არ აქვსო, ნუ იტყვით კვლავინდებურად: vivat partia, pereat patria. ჯერ მთელი ერი, ჯერ სამშობლო და მერე პარტია! ჯერ საერთო ეროვნული ინტერესი და მერე კერძო. დედა მიწაზე ასე იქცევა ყველა. მთელი საქართველო დღეს ამ უმაღლესი სიმართლის გრძნობით არის აღძრული და აღტყინებული. თქვენი თანამოაზრენიც გულის წიაღში ასე განიზრახავენ. მოდით, ჩაეყუდეთ ერის საიდუმლო გრძნობათა ზღვაში და იქ იპოვით ნამდვილი სათქმელის უტყუარ ჰანგებს. კვლავ ნუ ჩაიდენთ საშვილიშვილო ცოდოს და **დანაშაულობას.** ეგ არის საბოლოო გაფრთხილება, რომელსაც გითვლით საქართველოსი უკვდავი ფარული ზრახვა. დანარჩენი, თქვენ იცით!

**ს. კედია.**

ჯერჯერობით კრებულ „მერანისთვის“ „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო შემდეგი ნაწარმოებნი: „გაბზარული გული“ შიო არაგვისპირელისა, „ხელოსანი“ მელანიასი, „მუხა და ტირიფი“ ლეო ქიაჩელისა, „ნაადრევი ვარსკვლავი“ გ. ქუჩიშვილისა, „კასრის საყდარზე“ ზ. ედილისა, „მარგალიტი მორევში“ Legatus-ის. „ცხოვრების მგზავრი“ „წაგართვი მზეო“ და სხვა ესკიზები ინ-ბანისა, „გამგეობა გასაჭირშია“ დ. ნახუცრიშვილისა, „მეფის ასული“ იასე რაჭველისა. „ჭკუა მხიარული“. ტრ. რამიშვილისა.

# ახალი ამბავი

მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, თავისის თანაშემწის ინფანტერიის გენერლის იანუშკევიჩის თანხლებით, გუშინ, 6 თებერვალს, აზრუმს გაემგზავრა.

◆ **ჩვენი გაზეთის დღევანდელ სურათებიან დამატებაში მოთავსებულ კარიკატურებს, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, წარწერები არა აქვს.**

◆ მეფის ნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან სადარბაზოდ იყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი.

◆ **გურულთა ახალშენი.** თბილისში არსდება გურულთა ახალშენი. მოახალშენეთ მიზნად ერთ-ურთის დახმარება აქვთ დასახული. ამ მიზნის მისაღწევად უმუშევარ-უადგილო წევრებს ალაგს უჩენენ, იძენენ კერძო საკუთრებას და გონებრივ და სულიერ საზრდოს აწვდიან თავის წევრებს. სხვათა შორის განზრახული აქვთ როგორც საერო ისე საეკლესიო გურულ სიმღერა-გალობის აღდგენა-დაცვა.

◆ **აზრუმის აღების გამო** მეფის ნაცვლის განკარგულებით განთავისუფლებულ იქმნენ ჯარიმისა და სატუსაღოდან ყველა ის პირნი, რომელნიც ადმინისტრაციის განკარგულებით იყვნენ დასჯილნი.

◆ როგორც გადმოგვცეს, მას მერე რაც ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა, ამ ბოლო დროს მიუღიათ 60 ახალი მსახური. ამათში ქართველი მხოლოდ სამია.

◆ **ქვაშვეთის ტაძარში** დღეს პირველად სწირავს პიროს ალავერდელი.

◆ **არქიელის ლექცია,** რომელიც უნდა გამართულიყო 19 ამ თვეს საარტისტო საზოგადოების დარბაზში, გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის.

◆ **კავკავის ეპისკოპოსად,** როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, გორის **ეპისკოპოსი ანტონი** წარუდგენია დასამტკიცებლად მიტროპოლიტ პიტირიმს.

◆ **არქიელის პლატონის** განკარგულებით ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრის ბინის საკითხი, რომელიც ამდენ ხანს გადაუწყვეტელი რჩებოდა, დამთავრდა ტაძრის **სასარგებლოდ.** წინამძღვარს მიეცა ბინა იმ შენობაში, რომელსაც ტაძარი სასინოდო კანტორას ედავებოდა, ვინაიდან ის ბინა რომელიც ამ ჟამად დათმობილი აქვს წინამძღვარს საგუბერნიო საამშენებლო კომისიის შემოწმებით ყოვლად უვარგისია სადგომათ.

◆ **ბინების ქირის გარშემო.** ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი სავალდებულო დადგენილების პროექტი განიხილა ქალაქის საბჭოს მიერ საგანგებო კომისიამ და ცოტაოდენი ცვლილებით მოიწონა იგი. კომისიის აზრით თბილისში უნდა შესდგეს ხუთი კომისია, რომელთაც თავთავიანთ რაიონში უნდა მოაწესრიგონ ბინების ქირა და თვალ-ყურს ადევნებდნენ დაწესებულ ნორმის შესრულებას. პროექტი სავალდებულო დადგენილებისა კომისიის შენიშვნებით ხვალ, 8 ამა თვეს, წარედგინების ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად.

◆ **ტრამვაის გარშემო.** 5 თებერვალს სამოსამართლო პალატის სამოქალაქო საქმეთა მე-2 დეპარტამენტმა განიხილა ბელგიის უსახელო საზოგადოების საჩივარი ოლქის სასამართლოს განაჩენზე ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის გამო ტრამვაის შესახებ. ქალაქის ინტერესებს იცავდნენ ცნობილი იურისტი ტესლენკო, ს. და კ. ჯაფარიძენი და სხ. პალატამ არ შეიწყნარა უსახელო საზოგადოების საჩივარი.

◆ **საკითხი ფქვილის გაიაფების შესახებ.** ქალაქის სასურსათო კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. ჯაბარმა შუამდგომლობა აღძრა მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის ბ-ნ შაშკოვსკის წინაშე, ღონისძიება იხმარონ შემცირებულ იქმნას ზღვის ფრახტი ფქვილზე, რადგან დონის როსტოვიდან გამოგზავნილი ფქვილი ნოვოროსიისკ-ფოთით, ერთი ტომარა ჯდება 1 მან. 02 კაპეიკით მეტი, ვიდრე ბალაჯარის გზით. ბ-ნმა შაშკოვსკიმ თანაგრძნობით მიიღო შუამდგომლობა და დახმარება აღუთქვა.

◆ **სამოსლების გაგზავნა.** გუშინ, 6 თებერვალს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გაგზავნა ბათომში, ბ-ნ ბათომის გუბერნატორის სახელობაზე მთავარ გამგეობასთან არსებულ ქალთა კომისიის მიერ დამზადებული სამი ვაგონი სამოსლები და ლოგინები, ომიანობისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის დასარიგებლად. ნივთების განაწილებაში ბ-ნ გუბერნატორს დაეხმარებიან წევრები აღნიშნულ საზოგადოების ბათომის განყოფილების გამგეობისა.

◆ **სამხედრო- სამრეწველო კომიტეტის** მუშათა საარჩევნო კომისია ამ დღეებში დაუგზავნის ყველა დიდსა და პატარა ქარხნებს ცნობებს არჩევნების შესახებ. 1 მარტამდე მუშებმა უნდა აირჩიონ თავიანთი რწმუნებულები, ეს უკანასკნელნი-კი 25 მარტს აირჩევენ 6 წარმომადგენელს. კრების ადგილი და დრო ქარხნის პატრონებმა უნდა აცნობონ პოლიციას, განსაკუთრებულ ნებართვის აღება-კი საჭირო არ არის.

◆ **საკვების საჭიროება.** დეკანოზი ხახუტაშვილი დეპეშით ატყობინებს ახალციხიდან ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას: ფქვილი არ მოიპოვება, დიდი გაჭირვებაა, ხალხი გარს მახვევია, დაუყონებლივ ფული გამოგზავნეთ საკვების შესაძენადო.

◆ **ვერის პარკი.** დღეს, 7 თებერვალს, დილის 10 საათზე ვერის პარკს დაათვალიერებს თბილისში მცენარეულობის მომშენებელი კომისია და ადგილობრივ გამოარკვევს, თუ რა გაუმჯობესება სჭირდება პარკს.

◆ **სამაგალითო პურის საცხობი.** ბ-ნმა ს. მირზოევმა ქალაქთა კავშირის ლაზარეთებისათვის თავისის ხარჯით მოაწყო სამაგალითო ფურნე, სადაც საცდელად უკვე გამოაცხეს პური, რომელიც კარგის ღირსების გამოდგა და არსებულ ნიხრზე ნაკლებ ფასად დაჯდა.

# გიორგი ივანეს ძე გძელიშვილი

სამ თებერვალს ფილტვების ანთებამ იმსხვერპლა ახალგაზრდა ვექილი გიორგი ივანეს ძე გძელიშვილი. მოულოდნელმა მისმა სიკვდილმა ფრიად დაალონა მისი ნაცნობნი. ბუნებით სუსტი აგებულობისა გიორგი სულიერად ყოველთვის ძალოვანი იყო, სადა და თავაზიანი, უწყინარი და სამშობლოს კეთილდღეობით დიდად დაინტერესებული, ყველას მოსიყვარულე, ოდნავი პედანტური ელფერით, იგი ყოველთვის სასურველ შთაბეჭდილებას ახდენდა პირველ გაცნობისთანავე.

გ. ი. გძელიშვილი დაიბადა თბილისში, 1867 წ. ბავშვებითვე მალხაზი და მგრძნობიერი კლასიკურ გიმნაზიაში ამხანაგთა შორის ერთი პირველთაგანი იყო. 1891 წ. გიმნაზია დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ ვითარდება მისი გათვითცნობიერება, აქვე ხდება მისი დაფიქრება სამშობლოს კეთილდღეობაზე. უმალვე ჩაეწერება მოსკოვში მყოფ ახალგაზრდა ქართველთა ჯგუფში, მხურვალედ ეკიდება სამშობლო ისტორიის შესწავლას, ჯერ კიდევ სტუდენტი თანამშრომლად ითვლება მოსკოვის საიმპერატორო ეთნოგრაფიულ საზოგადოებისა და აქედანვე აუარებელ მასალებს უყრის თავს ჩვენი უფლებისა და ზნე-ჩვეულების შესასწავლად. ხსენებულმა საზოგადოებამ თავისი ხარჯით გაგზავნა რაჭის მაზრაში იქაური ზნე-ჩვეულებისა და ადათების შესასწავლად. 1895 წ. დაამთავრა უმაღლესი სწავლა, რამოდენიმე ხანს მოსკოვშივე დარჩა, რათა მეცნიერების წყურვილი მოეკლა. ნივთიერმა ხელმოკლეობამ აიძულა 1898 წ. დაბრუნებულიყო სამშობლოში. თბილისში ჩამოსვლისას მოჰკიდა ხელი ვექილობას, რასაც სიკვდილამდე ეწეოდა განსვენებული.

გიორგი არ ყოფილა ვიწრო ფარგლებში მოქცეული. როგორც მოვიხსენეთ, იგი გატაცებული იყო სამშობლოს სიყვარულით და სურდა ეს სიყვარული რითიმე დაემტკიცებინა. არ იყო არც-ერთი კულტურული დაწესებულება, სადაც არ შეეხედნოს, თავისი წვლილი არ შეეტანოს. სამშობლოს პოლიტიკურ მდგომარეობას გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს და მოურიდებელ კილოთი სწერდა რუსულ ენაზე ცნობილ პამფლეტებს. მაგრამ უმთავრესად იკვლევდა ჩვენს სამართლის ვითარებას.

ერთ დროს პოლიტიკურ სფეროში საკუთარ ორგანოთი გამოვიდა. ამ მიზნით გამოსცა „ობზორ ზაკავკაზია“ და შემდეგ „კავკაზსკიი გეროლდ“, ორივე ორგანო მემარცხენეთა პოზიციაზე იდგა.



† ნაფიცი ვექილი გიორგი გძელიშვილი.

ბოლო დროს განსვენებულმა გიორგიმ ჩვენს რედაქციასთან დაიჭირა მჭიდრო კავშირი და **გოგის** ფსევდონიმით რამდენიმე ფრიად საყურადღებო წერილი დასტამბა. წერილები „ჩვენი ვარამი“, მართლაც საქართველოს ვარამს შეადგენს, ჩვენს საგონებელს. გიორგი ამ წერილებით სცდილობდა ქართველთა ყურადღება თბილისის მნიშვნელობაზე მიეჯაჭვა. თბილისი კერაა, მთელი კავკასიის მაჯის ცემა და მისი დაკარგვა საქართველოს სიკვდილის თანასწორი იქნება.

განსვენებულმა რამდენიმე წერილი უძღვნა ჩვენს სამართალსაც, სამწუხაროდ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ბოლომდე დაეთავებინა იგი. რამდენიმე წერილი მის ბინაზე პირადად გადაკითხული მაქვს. თუ არ გადმომცა დასაბეჭდად, მხოლოდ იმიტომ, რომ შესწორება მსურს და თვითვე შემოგიტანთო.

ალთქმა მისი ალთქმად დარჩა: ვერ მოასწრო! გიორგის სიკვდილმა უსწრო განზრახვანი სისრულეში მოეყვანა. სიტყვა არ კმარაო, უთქვია ხშირად. საჭიროა საქმე, საქმე და საქმეო! უკანასკნელ ჟამს დაინტერესებული იყო ჩვენი თეატრის აღდგენის საკითხითაც, ბევრი ორიგინალი აზრიც ჰქონდა, მაგრამ, ჩაჰქრა და ისე ჩაიშალა ეს, როგორც მრავალი მისი კეთილშობილური განზრახა.

ბედი არ გვწყალობს: ჩემს და უწყინარ ასეთს მუშაკს ჩუმადვე გვიცლავს...

განისვენე მარად, მეგობარო...

დ. კ—ძე.

# ქართული საღამო პეტროგრადში

პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მიერ 28 იანვარს გამართულ საღამოს შინაარსს და ანგარიშს ასე გადმოგვცემს „პეტროგრადსკია ვედომოსტში“ ვინმე კ. მ.

„სცენაზედ დადგეს ერთმოქმედებიანი პიესა ქართველი დრამატურგისა დ. კლდიაშვილისა „დარისპანის გასაჭირი“. პიესა, დიდის შეთანხმებით ჩაატარეს. ალმასრულებელთა შორის პირველობის დაფნა უთუოდ ბ-ნ ა. დ. არაბიძეს უნდა მიეკუთვნოს, რომელმაც ხელოვნურად და შეგნებულად ჩაატარა მთავარი როლი

მეორე განყოფილება მიეძღვნა ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორის მ. ა. ბალანჩივაძის ზოგიერთ ნაწარმოების აღსრულებას. ა. დოლონაძემ და ქალბატონმა კრაპივინამ მშვენივრად შეასრულეს ქართულად დუეტი „გაზაფხული“, ლექსად დაწერილი ცნობილი ქართველი მწერლის თავად ილია ჭავჭავაძის მიერ. შემდეგ ბ-ნმა დოლონაძემ იმღერა რომანსები „იავნანა“ და „ჩემო თვალის სინათლევ“, რომელნიც პირველ საძირკვლად დაედო სარომანსო ფორმას ქართულ მუსიკაში. ბალანჩივაძის ნაწარმოების სხვა მომღერალთ შორის აღსანიშნავი არიან კონსერვატორიის ნიჭიერი შეგირდები რეისენი, ფინკელშტეინი და ელინსენი.

დივერტისმენტში ლამაზად იცეკვა ნაურის ლეკური ქ-ნმა კ. ს. მიქელაძელასენმა. საღამო დამთავრდა ხოროთი და ეროვნული ცეკვით, თარისა და დაირის აკომპანიმენტით. ამ ცეკვა სიმღერას ასრულებდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქართველი ახალგაზდობა.

დარბაზი ხალხით იყო გავსებული. საღამომ ყოველი მხრით კარგად ჩაიარა.

სამწუხაროა, დასძენს ბ-ნი კ. მ. რომ რუსის საზოგადოება ვერ იჩენს სათანადო ხალისს და ინტერესს ქართველების შემოქმედების მიმართ, მუსიკის სფეროში და თითქმის არც კი იცნობს მასო.

ამის ბრალი რამოდენიმეთ თვით ქართველ მოღვაწე მემუსიკეებს ედებათ. მაგ., ბ-ნი ბალანჩივაძე ავტორი სამ მოქმედებიანი ოპერა „თამარ ცბიერისა“ და სხვა ლამაზი რომანსებისა არავითარ ღონისძიებას არ ხმარობს, რომ დააინტერესოს მშობლიური მუსიკით რუსის მემუსიკეთა წრეები. ეს ცოტაა. ამ წერილის ავტორმა უწყის რომ კომპოზიტორ ბალანჩივაძის პორთფელში განისვენებს მრავალი ლამაზი პატარ-პატარა ნაწარმოები, რომელსაც ჯერ დღის სინათლე არ ღირსებია. განა გასაოცარი არ არის?! ქართული მუსიკის სალაროდან ბლომად ამოკრიფეს ძვირფასი ქვები რუბინშტეინმა, ჩაიკოვსკიმ, იპოლიტოვ-ივანოვმა, კოროშჩენკომ და სხვებმა, ხოლო თვით ქართველი კომპოზიტორები და მემუსიკენი თითქმის არაფერს აკეთებენ რომ რუსის საზოგადოებას გააცნონ იმ ქვეყნის მუსიკა, სადაც ყოველი ნაბიჯი მშვენიერი სიმღერით და მუსიკით არის ალბეჭდილიო.

ამ სრულიად სამართლიან საყვედურს თვით ქართველმა კომპოზიტორმემუსიკეებმა გასცენ პასუხი...

# ძველის რვეულიდან

განსვენებულის დ. ჯანაშვილის ხელნაწერებში ვიპოვნეთ ერთი უშველებელი რუსულად დაწერილი რვეული, რომელიც მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს. ჯერ-ჯერობით მოგვყავს ერთი ადგილი, რომელიც ქრისტიანობის აღდგენის ხანას შეეხება საინგილოში.

ზ. ედილი.

...ახალი ოლქის უმფროსი ბ. სტოლეტოვი რაღაც პოლიტიკურის მოსაზრებით არ თანაუგრძნობდა ქრისტიანობის გავრცელებას ოლქში და ამიტომ განიძრახა გაემუსულმანებინა ის ინგილონი, რომელთაც ქრისტიანობა მიეღოთ. მაგრამ რადგანაც მარტოლა საკუთარის ძალით არ შეეძლო ამის განხორციელება, ამიტომ გამოითხოვა სადაც ჯერ იყო ნებართვა, რათა ინგილოებს შესძლებოდათ მუსულმანთა სარწმუნოების მიღება. მიიღო თუ არა ამის ნებართვა გახარებულმა სტოლეტოვმა ფიცხლავ უბრძანა ნაიბებს (ბოქაულებს) გამოეცხადებინათ ინგილოთათვის, რომ მათ სრული უფლება ეძლეოდათ გამუსულმანებისა. ამ ცნობის გამოცხადებამ თავზარი დასცა მთელს ინგილოებს. მახსოვს მე და მრავალ მოხუცთაც რომ ამ ამბის გამოცხადების შემდეგ თვით ოლქის უმფროსი მოლებისა, ეფენდებისა და ნაიბების თანხლებით დაიარებოდა მთელს ოლქში და საჯაროდ უცხადებდა ყველგან შეკრებილს ხალხს ამ ამბავს. სურდა რა ყველა ოლქის ქრისტიანის გამუსულმანება, სოფ. კაკის ინგილოებს, რომელნიც მტკიცეთ იდგნენ ქრისტიანობაზედ ემუქრებოდა, რომ ყოველ ბოროტმოქმედება და ცუდს საქციელზედ იმათ უფრო დავსჯი, ვიდრე მუსულმანებსაო. ოლქის უმფროსის ასეთის განწყობილებით ისარგებლეს მოლებმა და ყველგან ინგილოებში ქადაგება მორთეს ხალხის გასამუსულმანებლად. მოლათა ქადაგებასა და ადმინისტრაციის ამგვარ მათთვის მხარის დაჭერის შემდეგ, ქრისტიანობა შედრკა, დაეცა სულით, დაჰკარგეს იმედი მთავრობის ქომაგობისა და ამიტომ მრავალი მათგანი მოკლე ხანში გამუსულმანდა. საბრალო და ბედშავნი ინგილონი, მტერთა საშინელ დევნის დროსაც კი ძველად არ ულალატეს მამა-პაპათა სარწმუნოებას და მტკიცედ საიდუმლოდ მაინც აღიარებდნენ მას 1850 წლამდე, შემდეგ 1850—1863 წლამდე აშკარად აღიარეს ქრისტიანობა და შემოუერთდნენ მართლმადიდებლობას. ეხლა კი უბრძანეს მუსულმანობა მიეღოთ, თუ არ უნდოდათ ორმაგი სასჯელის მიღება ყოველივე დანაშაულისა და ბოროტმოქმედებისათვის. აქედგან ინგილოებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ მთავრობას არ ჰსურდა მათი გაქრისტიანება. მუსულმანობა ოლქისა დღესასწაულობდა. ისინი აშკარად გაიძახოდნენ, დასდგა ალსასრული ქრისტიანობისა ოლქშიო. თუ წინანდელი ადმინისტრაცია ქრისტიანებს ულოლიავებდა და მფარველობდა, ახალი ადმინისტრაცია ერთი ორად უფრო მეტს მფარველობას უწევდა და უპირატესობას აძლევდა მუსულმანობას. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ახალი ადმინისტრაცია, გარდა ოლქის უმფროსისა სულ მუსულმანთაგან შესდგებოდა, რომელნიც წარბში შესცქეროდნენ მოლებსა და დიდის თავაზითა და პატივით ექცეოდნენ მათ.

ამ რიგათ 1863 წელს ბრძოლა ქრისტიანობისა მუსულმანობასთან დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. სამის საუკუნის განმავლობაში დაწყებული სპარსეთის მბრძანებლის შაჰაბაზიდან ინგილოები თავის ორთავ თვალისავით იცავდნენ ქრისტიანობას ოლქში, მიუხედავათ სასტიკი დევნისა, ხოცვა-ჟლეტისა და ტყვევნა-გატაცებისა; კავკასიის რუსთაგან დაპყრობის შემდეგ, ამ ძლიერის სახელმწიფოს გამგებლობის დროს, იმათ დაჰკარგეს თავისს წინაპართა სარწმუნოება. ალიაბათის ნაწილის ინგილოებმა მიიღეს მუსულმანობა, ქრისტიანობა მხოლოდ კახის საბოქაულოში-ღა დარჩა, რადგანაც მეტად მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებაზედ. ძვირად დაუჯდათ კაკელებს ეს სიმტკიცე და შეურყევლობა, ადმინისტრაციამ შარი მოსდო, შეიპყრო მათგან ათი კაცი, ბრალი დასდეს, ვითომ მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ჰაჯი-მურთუზას აჯანყებაში, აგრეთვე წინაალმდეგობა გაეწიოთ მთავრობისათვის სულთანიევებთან ალათემურის მიწის დავაში და გადაასახლეს სამის წლით რუსეთის შიდა გუბერნიებში, როგორც მუსულმანები. ნამდვილი მიზეზი-კი მათის გადასახლებისა იყო ქრისტიანობის აღიარება და თანამოძმეთა განმტკიცება ამ სარწმუნოებაში. ესა მტკიცდება იმითაც, რომ ოლქის უმფროსმა ბ-ნმა სტოლეტოვმა, წინააღმდეგ მათის სურვილისა, ისინი ჩასწერა მუსულმანებათ და ისე გაუყენა რუსეთის გზას. შემდეგში ეს საბრალონი იძულებული იყვნენ რუსეთიდან ეთხოვნათ ნათესავებისათვის, რათა მღვდლის მოწმობა გაეგზავნათ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. რადგანაც პატიმართა სიაში ისინი მუსულმანებად იყვნენ ჩაწერილნი, ამიტომ რუსი მღვდლები იმათ სიტყვას არ ენდობოდნენ და ზიარებას არ აღებინებდნენ.

ამ ადმინისტრაციის არ თანაგრძნობას ქრისტიანობის გავრცელებისადმი თავისი სამწუხარო შედეგები მოჰყვა: დაიკეტა შვიდი სამრევლო და განიდევნა მათგან მოძღვარნი, უკვე განზრახული ეკლესიათა აშენების შეჩერება, მათთვის დამზადებულის მასალის დალპობა და გაოხრება, გამუსულმანება 12,000 ინგილოსი, მეჩეთების აშენება ადმინისტრაციის განკარგულებით იმ ინგილოთა სოფლებში, სადაც 1864 წლამდის არას დროს მეჩეთი არ ყოფილა, მოლების გამწესება ინგილოებში, რომელთაც თვალ-ყური უნდა ედევნებინათ გამუსულმანებულ ინგილოთათვის, სასტიკი ბრძანება ნაიბებს (ბოქაულებს), რათა დაესაჯნათ ყველა ის გამუსულმანებული ინგილო, თუ შეამჩნევდნენ ქრისტიანობისაკენ ლტოლვილობას; ქრისტიანებს ნება დართეს 1864 წლის ბოლომდის ვინც მოისურვებდა გადასულიყო მუსულმანობაში, მუსულმან ინგილოებს კი სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ქრისტიანობა მიეღოთ თუ ერთხელ მაინც განაცხადეს გამუსულმანების სურვილი; აკრძალულ იქმნა ქრისტიანობის გავრცელება ოლქში; დაწესება ოლქისათვის სიტყვიერი სასამართლოსი, რომელშიაც შედიან მოსამართლეებად მარტო მუსულმანები და რომელშიაც ქრისტიანთაც შარიატით ასამართლებენ.

ამის შემდეგ ინგილოები დარწმუნდნენ, რომ მთავრობა ხელს აღარ უწყობდა მათში ქრისტიანობის გავრცელებას, რაშიაც თავის საქციელით აშკარა საბუთს აძლევდა ახალი ოლქის უფროსი. სტოლეტოვს ჰსურდა ამითი ლეკების დაწყნარება, მათი გულის მოგება და რუსეთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ჩანერგვა მათში. იმას ეგონა, რომ სულ ერთია რა ნაირის სარწმუნოებისაც იქნებოდენ კავკასიის ერები, ოღონდ კი რუსეთის ნამდვილი და თავდადებული ქვეშევრდომნი ყოფილიყვნენ. ამიტომ მისის წყალობით მაჰმადიანობა განმტკიცდა ოლქში და ბოლო მოეღო ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელებას ინგილოთა შორის. მუსულმანობა ამის შემდეგ საშინელმა ფანატიკოსობამ მოიცვა, ეხლა ველარავის ვერ ნახავთ ვერც ლეკებში და ვერც ინგილოებში, რომელიც აღიარებდეს, რომ მისი წინაპარნი ქრისტიანები იყვნენ, პირიქით ძალზედა სწყინთ, თუ ვინმემ ამაზედ მოაგონა; 1863 წლამდის ასე არ იყო.

სამრევლოების დაკეტვისა და მღვდლების განდევნის შემდეგ ოლქი აივსო მოლებითა, მაგრამ პირველ ხანებში რაღაც ასიოდე ფანატიკოსი გადავიდა მუსულმანობაში ისევ ძველი ნამოლარები, რომელთაც ხალხის გაქრისტიანებით შემოსავალი მოესპოთ. იმათ პირველმა მიიტანეს იერიში ქრისტიანებზედ, რადგან დამწყელი არავინა ჰყავდათ, იერიში იერიშზე მიჰქონდათ: ლეკები და მოლები აშინებდნენ ხალხს და ემუქრებოდნენ თუ არ გამუსულმანდებით გაგწყვეტავთო. პოლიციაც დახმარებას უწევდა მათ და ექომაგებოდა. ჰხედავდნენ-რა, რომ ინგილოთა უმრავლესობას არა ჰსურდა გამუსულმანება, ამიტომ ახალი მუსულმანი ბოქაულები ყოველგზივ ცდილობდნენ შარი მოედოთ მათთვის, ბრალსა სდებდნენ სხვა და სხვა დანაშაულობაში, რომელნიც წინანდელს ადმინისტრაციის დროს ჩაედინათ. ინგილოებმა ვერ გაუძლეს ამგვარ იერიშებს ამ ძალდატანებითი გამუსულმანებას და ნელ-ნელა შეუმჩნევლად გამუსულმანდნენ სამი-ოთხის წლის განმავლობაში. გამუსულმანდა სხვათა შორის ს. თასმალო, სადაც კვირაცხოვლობის დიდი დღესასწაული იცოდა და ს. ლალაფაშა, სადაც მუსულმანობა მიიღო იმ ინგილოს ოჯახობამაც, რომელიც იმ შვიდ დეპუტატში ერია, რომელნიც თავის ნებით წავიდნენ თბილისში და მოინათლნენ 1840 წელს. სოფ. ენგიაში გამუსულმანდა ეკლესიის მნათეც, რადგან ეკლესია დაიკეტა, მთელი სოფლის გამუსულმანების გამო. მათსავე მაგალითს მიჰბაძეს რამდენიმე სიღნაღელმა დედაკაცმა რომელნიც გამოთხოვებულნი იყვნენ ინგილოებზედ.

ამ გვარად გამუსულმანდა საინგილო და იმ სოფლებში სადაც მთელის საუკუნოების განმავლობაში მიუხედავათ ლეკთა და ყიზილბაშთა თარეშისა ნათელი ქრისტიანობისა არ აღმოფხვრილა, ეხლა ისლამმა მოიცვა და მეჩეთ-მინარეთებით აივსო საინგილო.

**დიმ. ჯანაშვილი.**

კიდევ მრავალ ცნობებს შეიცავს ეს ხელნაწერი ამავე საკითხის შესახებ, მაგრამ რადგანაც შემდეგ ფურცლები აქა-იქ დაკარგულია და ამოხეული, ამიტომ ჯერ-ჯერობით აქა ვსპობთ წერილის გაგრძელებას.

ზ. ედილი.

# სოფლად ახალი არჩევნების გამო

თანახმად ახალი განკარგულებისა, დღეს სოფლად ხდება არჩევნები; თვითეული საზოგადოება, რომელიც დღემდე შეადგენდა ერთ სამამასახლისოს, ირჩევს რამოდენიმე ამომრჩევლებს, ხევისთავებს; ხუთი—ექვსი სამამასახლისოდან არჩეული პირები ირჩევენ ერთ მამასახლისს და ამ რიგად რამოდენიმე საზოგადოება ერთდებიან, ადგენენ ერთეულს მგზავსად რუსეთში არსებულ „ვოლოსტებისა“. რამდენათ სარფა იქნება საერთოდ ჩვენი სოფლებისათვის ეს ახალი „რეფორმა“ ამას მომავალი დაგვანახვებს, ამ ჟამად კი დაბეჯითებით ითქმის, რომ ახალი არჩევნები **ზოგ** ჩვენ სოფლებს ზიანის მეტს არას მოუტანს და აი რატომ: ვინ არ იცის, რომ თბილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში, მაგ. ახალციხისა, ბორჩალოსა და სიღნაღისაში სხვა ეროვნების ხალხიც სცხოვრობს; სამწუხაროდ, ზოგიერთ ამ მაზრაში ქართველების რიცხვი ძალიან მცირეც არი; რასაკვირველია, მამასახლისს თუ სხვა სოფლის მოხელეს ხმის უმეტესობით ირჩევენ ამომრჩევლები; მაგ. მოხდა არჩევნები სიღნაღის მაზრაში, ალაზნის გაღმა საბოქაულოს ნაწილში; ხუთ საზოგადოებიდან, რომლებიც შეაერთეს და შეადგინეს ერთი საზოგადოება, ერთი სამამასახლისო, მხოლოდ ერთი, სახელდობრ **შრომის** საზოგადოება შესდგება ქართველი გლეხებისაგან, დანარჩენი ოთხი საზოგადოება რუსებით არის დასახლებული. მამასახლისად არჩეულ იქმნა რუსი; როგორ უნდა გააგებინოს საწყალმა ქართველმა გლეხმა თავის ჭირ-ვარამი-საჩივარი რუს მამასახლისს; ყოველთვის თარჯიმანს სად იშოვნის, რომ კიდევაც იშოვნოს, თარჯიმანი შესძლებს სისწორით გადასცეს რუსს მოხელეს გლეხის გულში ნადები დარდები? ან კიდევ როგორ შესძლებენ რუს-ქართველი სოფლის მსაჯულები, „სუდიები“, ერთად სჯას, მუშაობას, როცა ერთმანეთის ენა არ ესმით? ესლა აკლდა ზემო აღნიშნულ მაზრებში მცხოვრებ ნახევრად გადაგვარებულ ქართველობას! ზემოდ მოხსენებულმა შრომის საზოგადოებამ, რომელიც შესდგება ს. ს. შრომა, კავშირისაგან, წინდაწინვე გაითვალისწინა ამ „რეფორმის“ დამღუპველი შედეგი და სთხოვა განაჩენით მომრიგებელ შუამავალს, გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, რომ **შრომის** საზოგადოება დარჩენილიყო საკუთარ ერთეულად, ცალკე სამამასახლისოდ, მაგრამ თხოვნამ უნაყოფოდ ჩაიარა. ზემოდ დასახელებულ მაზრებში ბევრგან მოხდება მგზავსი მაგალითები, ამისათვის საჭიროა ამ გარემოებას ეხლავე მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, თორემ ეს ახალი არჩევნები დაღუპვის მეტს არას უქადის **ზოგიერთ** ჩვენ სოფელს

გრ. საქარიძედელი.

## მგზავრის შთაბეჭდილებანი

წერილი მე-5-ე.

**სათბილობლების დარიგება სათათრეთის სოფლებში.**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მაჰმადიანთა სოფლების გაჭირვებაზედ და სიტიტვლეზედ არა ერთხელ მიამბნია, მკითხველო. ამ წერილით მინდა მოკლედ გაგაცნოთ, თუ რა პირობებში დარიგდა თბილეული ტანსაცმელი, რომელიც გამოგზავნილი იყო, ქალაქების კავშირის მიერ და ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ. გაიგეს თუ არა მცხოვრებლებმა, რომ მათთვის დასარიგებლად თბილეული ტანთსაცმელი მოსულაო 22 იანვარს, დილიდანვე დაიწყეს მოსვლა მცხოვრებთ სხვა და სხვა სოფლებიდან. ამ სუსხიან და ცივ ზამთარში 20—30 ვერსიდან მოდიოდნენ ბავშვები, ქალები, კაცები, ბევრი სრულიად ფეხშიშვლები და ტიტვლები იყვნენ, უმეტესად კი ბავშვები, რომელთაც მოუყარეს თავი სოფ. გლებიში მაჰმადიანთა საზოგადოების საეპიდემიო პუნქტის ეზოში. საშინელი სანახავი იყო ეს ბრბო ნახევრად ტიტვლებისა. მოისმოდა გულშემზარავი ტირილი სიცივისგან შეწუხებული ბავშვებისა,—ქალებიც მოსთქვამდნენ ხმა მაღლივ თავიანთ გაჭირვებას, ზოგი ფეხ ქვეშ გვიცვივოდნენ და ქვითინით გვევედრებოდნენ.

— ეფენდი, არ გამომწიროთ, ბავშვები სიტიტვლით მეხოცებიან...

ძნელი იყო, ამ ტრაღიკული სურათის უცრემლოდ ყურება.

ჩვენ ვჩქარობდით დარიგებას ტანსაცმელისას,... მაგრამ გაჭირვებული იმდენი აღმოჩნდა, რომ მეოთხედსაც არ ეყო.

და აი აქ გაისმა გულის საკვეთი გოდება, რომელიც ქვასაც კი აატირებდა.

— გაშტერებული ვუყურებდი ღ თან ვწყევლიდი ადამიანის უთანასწორობას, რომ უკანიდგან მომესმა, საშინელი ქვითინი... სწრაფლ მოვიხედე და შემდეგი სურათი გადამეშალა თვალ წინ... სრულიად მოხუცი და მასთან ტიტველი, რომელსაც გარს ეხვივნენ ბავშვები ისინიც ტიტველნი, ტიროდა და ბავშვებიც ბანს აძლევდნენ... დავწვდი და მოხუცი წამოვაყენე...

— ეფენდი,—ეფენდი—მომმართა მოხუცმა გოდებით, და ისეთნაირად შემომხედა, რომ ჩემმა თვალებმა ველარ შეიკავა ცრემლი,—შვილი ციხეში მომიკლეს, ეს ობლები, მე დამიტოვა შესანახად, მითხარი, შემიძლიან თუ არა?—დამეხმარე... და თან საშინელი ქვითინი მორთო და სიტყვა პირში გაუწყდა.

ასეთი მაგალითები ბევრია აქეთ... თუმცა ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოება ცდილობს დახმარება აღმოუჩინოს, ყოველ მხრივ უდანაშაულოდ დასჯილს მოძმეთ... მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ზღვაში ერთ წვეთს... ფართო საზოგადოება მუსულმანთა არ ეხმარება საქველმოქმედო საზოგადოებას, თორემ უკეთესად მოეწყობოდა დახმარება. და ამიტომაც აქვე მინდა გავახსენო მაჰმადიან ფართო საზოგადოებას, ნეტარხსენებულ ძვირფას ილიას სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი, შენ ძმათ მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია.
საქმე ის არის კაცს ის უყვარდეს
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია."

ვ. ს—შვილი.

## ქართული კონცერტი

31 იანვარს მ. კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდმა სახალხო სახლში გამართა კონცერტი. ამ კონცერტმა მრავალ ხალხს მოუყარა თავი, ნახევარიც ვერ ეღირსა ადგილის შოვნას. ეს დღე კერძოდ ჩემთვის და, ვგონებ ბევრისათვისაც—სახსოვრად დარჩება დიდხანს. მე კარგად ვიცნობ ქართულ საერო ტკივილებსა და იარებს და სწორედ ამ ტკივილებსა და იარებს მოანდომა თვისი ლექცია-საუბარი ბ. კავსაძემ. იგი სამართლიანად აყვედრიდა ჩვენს ახლად მოვლენილ კომპოზიტორ-მომღერლებს, რომელნიც წმინდა ხალხური სიმღერების ადგილობრივ შესწავლა-გავრცელების მაგიერ ამახინჯებენ და მათის გადაგვარებით ხელს უწყობენ უცხოელთა მუსიკის გაბატონებას და გავრცელებას. ადრევ მომისმენია კონცერტი ბ. მონადირიშვილის მიერ შედგენილი გუნდისა. მას აქეთ აღარა მომისმენია რა დღევანდელებრ წმინდა ქართული საერო კილოები. ღირსეულმა მამულიშვილმა მიხეილ კავსაძემ სწორედ აიღო აღლო და თვისი სახელოვანი გუნდი შეადგინა პირდაპირ გლეხთაგან. ქართველმა გლეხმა იცის ყველაზე უკეთ თავის სიმღერები და ღიღინები, მას მხოლოდ ხმების შეწყობის ტეხნიკა ესაჭიროება, მეტი არაფერი. ამიტომ იყო სასიამოვნო და სახსოვარი ეს კონცერტი და დამწრე-მსმენელნიც აკი მხიარულ გუნებაზე იყვნენ და დიდად ნასიამოვნნი წავიდ-წამოვიდნენ.

თვით მე მასიამოვნა ამოდენა ხალხისაგან შემდგარმა გუნდმა, რომელშიაც თავი მოუყრიათ საქართველოს ყველა კუთხიდგან და სიმღერებიც ყველა მხრისა იყო. მეტის-მეტად მშვენიერი იყო „ვისია, ვისი ქალი ლამაზი" და „თამარ ქალი". აი ძველი ქართული კილოები, რომელთა სიწმინდემ და კარგად თქმამ აღმიძრეს იმედი ჩვენი ერის თავისებურობის დაცვისა და გადაუგვარებლობისა; მათმა გაგონებამ „აპკურეს ცვარი მაცხოველებელი გულსა ვნებულსა და სულსა სასოება წარკვეთილსა შთაჰბერა სიმხნე-გამძლეო-ბა". გაიგონ და დარწმუნდნენ ვისიცა ჯერია რომ პატიოსანის შრომითა და მხნეობით შეიძლება დიდი საერო საქმის გაძღოლა და სამსახური, რომ მარტო ატტესტაცია კონსერვატორიებისა არა კმარა. ჩვენ კი ვინატრით, რომ ფილარმონიული საზოგადოების გამგეებმა მიჰბაძონ ბ. კავსაძის საქმეს, ხალხში შეკრებილი ხმები-კილოები შეასწავლონ გუნდებს და მალ-მალ გააგონონ მოწყურებულ ხალხს თვისი მშობლიური სიმღერები. განა ეს არ იყო მაგ. საზოგადოების დამაარსებელთა საგანიც? ნეტავი ვიცოდეთ, რა იქნა სვანური, 1903 წ. გრამოფონში ჩაძახილი, 28 კილო? როგორ მოიხმარეს და გაავრცელეს, ასწავლეს ვისმეს მათგან რამოდენიმე მაინც? *).

მღ. პ. კარბელაშვილი.

*) სრულებით უცვლელად ვბეჭდავთ პატივცემულ ავტორის წერილს, როგორც მცოდნეს ქართული გალობისას, რათა საშუალება მივცეთ თავისი აზრის გამოთქმისა, თუმცა ყველაფერში არ ვეთანხმებით.

რედ.

## პროვინციის ქრონიკა

**სოფ. ხაშური.**

კვირას, 31 იანვარს, ხაშურის საზოგადოების კანცელარიაში მოხდა ოცის თავების არჩევნები, თანახმად ახალი კანონისა. სამმა სოფელმა: ზემო ჭალამ ცხრა მუხამ და ხაშურმა, რომელთაგანაც ხაშურის საზოგადოება შესდგება, აირჩია სულ 45 კაცი, რომელთა მოვალეობას შეადგენს მამასახლისის არჩევა და სოფლის საქმის მმართველობა.

**დ. ჩოხატაური** (ოზ. მაზ.)

19 იანვარს ღამით საგრძნობლად მიწა იძრა.

— აქ სანოვაგე დღითი-დღე ძვირდება. სიმინდი ფუთი 1 მან. 20 კაპ. ხოლო ფქვილი 1 მან. 60 კაპ. პური გირვანქა 7 კაპ. ხორცი 25 კაპ. ღირს.

— სამშაბათს, 26 იანვარს, ადგილობრივ ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად.

**დაბა ხონი.**

კვირას, 31 იანვარს, ხონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად.

— ყასბების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. გირვანქა ხორცს ჰყიდიან 25 კაპ.

**გ ო რ ი.**

ორი დღეა რიგზე პური არ იშოვება, თუმცა მეპურეებს ქალაქის გამგეობამ ნიხრი მოუმატა.

**ლანჩხუთი** (ოზ. მაზრა).

აქ არსებობდა სამკითხველო, მაგრამ, წევრების უმოქმედობის გამო, დაიხურა.

**დ. ჩოხატაურში** (ოზ. მაზ.)

შარშან შემოდგომაზე ჩოხატაურში გაიხსნა უმაღლესი პირველ—დაწყებითი სასწავლებელი, რომელსაც ინახავს ჩოხატაურის საზოგადოება. ეხლა როგორც გავიგეთ, ოლქის მზრუნველს გადაუდვია სასწავლებლისთვის ერთდროული დახმარება 1,000 მანეთი.

**ს. ზნეთი** (სენაკ. მაზ.)

სენაკის მაზრაში ქურდ-ბაცაცების ასალაგმავად ყველგან საზოგადოებამ აირჩია ათის თავები.

ახალ სენაკის კოოპერატიული ამხანაგობის „ნდობა" წესდება წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

**ს. მუხიანი.**

მუხიანის უფასო სამკითხველოს საზოგადოების წლიური კრება მოხდება დღეს 7 თებერვალს.

**საჯევახოს მხარე.**

სად. საჯევახოში არსდება კოოპერატიული დუქანი. დამფუძნებელი კრება უკვე იყო და გამგეობაც არჩეულია.

**დ. ხობი** (ზუგ. მაზ.)

24 იანვარს ს. ნოჯიხევის სასამართლოს შენობაში მოხდა კრება, რომლის მიზანი იყო კოოპერატიული სავაჭროს გახსნა.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

1 თებერვლიდან ექიმი სულთანოვი ხელ-ახლად შეუდგა გამოქცეულ მაჰმადიანების დათვალიერებას, ბათომში, ყარსში და თბილისში მყოფ შემოხიზნულებს, დაბრუნების შემდეგ მოახსენებს ყველა გამოქცეულთა მზრუნველ კომ. თავ. გენერალ თამამშევს მათს ყოფა-ცხოვრების ვითარებას.

— ერევნიდან ატყობინებენ „ენი იგბალს", ერევნის კომიტეტის ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოების წევრთა შორის ჩამოვარდა უთანხმოება, ამისთვის კომიტეტის წარმომადგენელმა აუცილებელ საჭიროებათა სცნო ბაქოში წასვლა, რათა დაწვრილებით მოახსენოს საქმის ვითარება.

— ნუხიდან „აჩიკ სოზს" სწერენ: ამ დღეებში ჩვენ დიდი ზეიმით გადვიხადეთ წმ. ნინოს სახელობაზე ახლად აშენებულ სკოლის გახსნა.

## მუშათა შორის

**ლანჩხუთი.**

შეშით მოვაჭრეთა თავგასულობას საზღვარი არ აქვს. ვაგონების დამტვირთველ მუშების მდგომარეობა აუტანელია, ხელფასს ძალიან ნაკლებ ღებულობენ. 21 იანვარს მუშებმა მოთხოვნილებაწარუდგინეს უფროსებს სადაც ითხოვენ ხელფასის მომატებას.

**ბორჩხა** (ბათომ. ოლ.)

ბორჩხაში ეხლა ბევრი მუშა ტრიალებს, აქ ეხლა მრავალი სამუშაოა.

**კვარცხანის ქარხანაში.**

პირველ საჭიროების საგნების უქონლობამ აქაც იჩინა თავი: ორი კვირის განმავლობაში შაქარი არ იშოვებოდა, რამაც ძლიერ შეაწუხა მუშები; რაც შეეხება პურს ჯერ-ჯერობით სამ გირვანქას აძლევენ დღეში თითეულ მუშას.

## წერილი რედ. მიმართ

**მ. ხ.**

ბატონო რედაქტორო! ჩვენ, თვით ბავშვებმა, მოვაწყეთ საბავშო წარმოდგენა, წარსული წლის მკათათვის 22-ში სოფ. კარდანახში. რომლის წმინდა შემოსავალი უნდა გაგვეგზავნა **აჭარაში, ობლად და უპატრონოდ დარჩენილ ქართველ მაჰმადიანთა ბავშვთათვის.**

გადაგვრჩა ხარჯებს ხუთი მანეთი (5 მან.), რომელსაც ამასთანავე გაახლებთ, გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ, ბოდიშს ვიხდით დაგვიანებისათვის.

ამასთანავე ნება გვიბოძეთ მადლობა გადაუხადოთ, წარმოდგენაში მონაწილეთ და ყველა მას, ვინც რითიმე ხელი შეგვიწყო წარმოდგენის მოწყობაში.

**ნ. ხესიაშვილი მ. ტურიაშვილი.**

## ნ ა რ ე ვ ი

**ჩინეთის დედოფალი.**

ჩინეთის დედოფალი ერთად ერთი ადამიანია, რომელსაც გამოუცნობელ ადამიანად სთვლიან. მას მიაწერენ, ვითომც იგი რეფორმების მომხრენი იყოს და ამავე დროს მას სთვლიან რეაქციის მოთავედ. მაგრამ ყველანი კი ერთ აზრს ადგანან, რომ იგი ჭკვიანი და გამგებიანი ადამიანია. 72 წლისაა და უცხომ რომ ნახოს ეგონება 40 წელს არ აღემატებაო. რა არის მიზეზი მისი ასეთ შენახულობისა?

ყოველ დღე დილის 6 საათზე სდგება და იძინებს ღამის ათს საათზე. როგორც უნდა ცივი ზამთარი იყოს, ცეცხლთან არ დაჯდება. ამბობენ, მთელს სასახლეში ცეცხლს არც კი ანთებინებს, გარდა სამზარეულოისაო.

მის მზარეულებს მოსვენება არა აქვთ, რადგან ის მაშინ სჭამს, როცა კი მადა მოუვა.

ხანდახან შუაღამისას ადგება, თავის სეფე ქალებს დააღვიძებს და სასეირნოდ ხეივანში გაიყოლებს.

ტანზე მურსა და ნელსაცხებელს ისვამს. მისი ბანაობა არა ჩვეულებრივია. როდესაც წვიმა მოდის, გავა ბაღში და ცის ქვეშ ბანაობს.

მისი საჭმელი არც ძალიან ცივია და არც ცხელი. უმეტეს შემთხვევაში მწვანილეულობით იკვებება.

ხელზე ფრჩხილებს არ იჭრის. მის მომვლელად საგანგებო მსახურნი ჰყავს. თუ რომელიმე ფრჩხილი მოსტყდა, მთელს სასახლეში მწუხარება დატრიალდება და ვიდრე არ გაეზრდება სალოცავად არ მიდის. ფრჩხილებზე ნახატები აქვს. 72 წლის დედოფალს არც ერთი კბილი არ აკლია, რადგან მუდამ უვლის და ყოველ ჭამის შემდეგ უბრალო წყლით ირეცხს.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | . | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. | „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | . | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | . | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | . | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. | |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 | „ | „ |
| იორიდან . . | 11 „ | 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის | |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . . | 5 „ | 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 | „ | „ |
| იორიდან . . | 2 „ | 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ | 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 | „ | „ |

## თ ე ა ტ რ ი

**თბილისი.**

დღეს **ნაძალადევის თეატრში** ს. გოგაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე". ამ სცენის მოყვარე ქალს 10 წელი შეუსრულდა რაც ერთგულად ემსახურება ნაძალადევის პატარა თეატრს.

— ორშაბათს, 8 თებერვალს, **სახალხო სახლში** ქართველ მსახიობთა ამხანაგობა წარმოადგენს სოფოკლეს ტრაღედიას „ოიდიპოს მეფე".

**ჭიათურა**

24 იანვარს ადგილობრივ თეატრში სცენის მოყვარეთა მონაწილეობით რეჟისორ ვ. არაბიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს „პედაგოგები" კომ. 4 მოქმ. და „მაღაროს უფროსი მუშა".

წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ხალხიც ბლომად დაესწრო.

## სასამართლო

ქუთაისის საოლქო სასამართლოში 3 თებერვალს გაირჩა **კიმოთე ჯღარკავას** საქმე. ჯღარკავას ბრალს სდებდენ ვასილი თოხშუა და გიორგი ბაბროვი, ვითომც ჯღარკავა რუსულ კლუბში იპარავდა სხვა და სხვა ნივთებს. საოლქო სასამართლომ საქმე გაარჩია და ჯღარკავა გაამართლა. მას იცავდა ნაფ. ვექ. თანაშემწე სილოვან გაბუნია.

**ჩვენი ფოსტა.**

**ბ-ნ პეტას.** თქვენი ლექსის დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია. დალოცვილო, ხატისოვს ასეთ ლექსს აწერთ:

მათ მოვთხოვოთ სიყვარული, ძმობა,
ვუთავაზოდ პანღური და გმობა
განვამტკიცოთ შინაური ტრფობა.
და სხვა.

გეთაყვა, ასეთ დროს განა ასეთი ლექსი შეეფერება??.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**


**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეწველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ჯან-გატეხილ და დასუსტებულ ავადმყოფებს**

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით ღ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექითან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭვდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **საერთაშორისო სამკურნალო-საფარმაცევტო დეპო.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უილაჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пущкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.




სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.